

2018 წლის 03 ივლისის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი
საბჭოს სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #33

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, ნათია კორკოტაძე, ზურაბ როსტიაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ირაკლი ყანდაშვილი; დისტანციურ რეჟიმში ჩაერთო მამუკა ნოზაძე.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება: დავით ბულაძე, ჯაბა ბალახაშვილი, ნუკრი ჯინჭარაძე, ხატია ოდიშარია, ნინო დოლიძე, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი წამალაიძე, მარიამ გიგოლაშვილი, ანა გუჯარაძე, ლაშა ნოდია, ნიკოლოზ ჩომახიძე, გიორგი კაკუბავა, თინათინ სუდაძე, წევრობის შეჩერების მოთხოვნით: მიხეილ კალანდაძე.

2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: ზურაბ დგებუაძე, ლაურა მაკარაძე.
3. ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების საკითხი; ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შედეგად, ახალი სამტატო განრიგის და სახელფასო ფონდის დამტკიცება
4. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა: მაგული მელაძე, ქეთი კილაძე, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ციური მაკარაძე, გიორგი გოლუბიანი, რიმა ლომაური, ვახტანგ ჯორბენაძე, ირმა მამიაშვილი, ფატიმა შედანია, ნათია თავბერიძე, ლალი მრევლიშვილი, ირაკლი მარგველაშვილი.
5. 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა: ლეილა ბერიაშვილი, თეიმურაზ ფარღალავა, ლიზა ონიკაშვილი, მანანა კაჭარავა, შორენა ბარათაშვილი, თამარ ტიგინაშვილი, ლალი მარტიაშვილი, ეკატერინე აბუანდაძე, მამუკა კონჯარია, ვლადიმერ ესართია, სოფო ზვიადაძე, მაგული ლიპარტელიანი, გულო ღვაჩლიანი, ლალი აბრამიშვილი, ქეთევან ჭაბუკიანი, სალომე ჩინჩალაძე, სალომე კორკოტაძე, კახაბერ მუმლაძე, დოდო არობელიძე, მანანა ჭახრაკია, მანანა გელაშვილი.
6. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, ფარული კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე საწევრო გადაუხდელ პირთა მიმართ ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ;
7. სხვადასხვა

საკითხი #1:

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: დავით ბუღაძე, ჯაბა ბალახაშვილი, მიხეილ კალანდაძე, ნუკრი ჯინჭარაძე, ხატია ოდიშარია, ნინო დოლიძე,

შოთა გრიგალაშვილი, გიორგი წამალაიძე, მარიამ გიგოლაშვილი, ანა გუჯარაიძე, ლაშა ნოდია, ნიკოლოზ ჩომახიძე, გიორგი კაკუბავა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს დავით ბუღაძის, ჯაბა ბალახაშვილის, მიხეილ კალანდაძის, ნუკრი ჯინჭარაძის, ხატია ოდიშარას, ნინო დოლიძის, შოთა გრიგალაშვილის, გიორგი წამალაიძის, მარიამ გიგოლაშვილის, ანა გუჯარიძის, ლაშა ნოდია, ნიკოლოზ ჩომახიძის, გიორგი კაკუბავას განცხადებები გაწევრიანების შესახებ. ამასთან, “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21² მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მიხეილ კალანდაძეს შეუჩერდეს წევრობა.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) თინათინ სუღაძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი - საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროდან, სამედიცინო დეპარტამენტის პირველადი ჯანდაცვის და ამბულატორიული სერვისების სამმართველოს სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 02 ივნისიდან 2018 წლის 14 ივნისის მდგომარეობით. ამავე ცნობაში მითითებული იყო აღნიშნული თანამდებობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები: დეპარტამენტში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მონაწილეობის მიღება, საკანონმდებლო აქტების ანალიზის საფუძველზე კორექციონების მართვა და საჭიროებიდან გამომდინარე საკანონმდებლო აქტების დამტკიცების პროცესში მონაწილეობის მიღება.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი; ცნობაში მითითებული ფუნქციები არის ზოგადი ხასიათის და არ მოიცავს კონკრეტიკას

შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ თინათინ სუდაძის შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, მიზანშეწონილად მიაჩნიათ, დამატებითი დოკუმენტის გამოთხოვა ზემოხსენებულ ცნობაში კონკრეტულად გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების და სამუშაოს აღწერილობის მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს თინათინ სუდაძის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. თინათინ სუდაძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი #2:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველთა განცხადებებს: **ზურაბ დგებუაძე, ლაურა მაკარაძე.**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით

შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზურაბ დგებუაძის და ლაურა მაკარაძის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი #3:

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღმასრულებელი საბჭოს წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შემდგომი სხდომისთვის გადაიდო ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების და ახალი საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის ნაწილში, იმ საფუძველით, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო შტატისთვის განსაზღვრული დეტალური სამუშაო აღწერილობა და უფლება-მოვალეობანი.

ზემოხსენებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულისთვის დეტალური ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო აღწერილობა და თავმჯდომარემ სთხოვა წევრებს, პუნქტობრივად განეხილათ წარმოდგენილი დოკუმენტი.

წევრები გაეცნენ ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობის შესახებ წარმოდგენილ პროექტს.

საკითხზე მსჯელობის პროცესში შეკითხვები და შენიშვნები დააფიქსირეს აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა გიორგი ტურაზაშვილმა და ციცილო ცხვედიანმა. მსჯელობის დროს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები სრულად აისახა სხდომაზე წარდგენილ სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში.

იქედან გამომდინარე, რომ წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა და შემუშავებულ იქნა ყველასათვის მისაღები დოკუმენტი, სხდომაზე დაისვა საკითხი აღმასრულებელ საბჭოს მიერ გადაწყვეტილება ასოციაციის აპარატში

ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების, ახალი სამტატო ერთეულის დამტკიცებისა, სამტატო განრიგსა და სახელფასო ფონდში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე, “ადვოკატთა შესახებ” კანონის 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის “ნ” ქვეპუნქტის და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 15.1 მუხლის “ფ” პუნქტის საფუძველზე.

ასოციაციის თავმჯდომარემ აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიმართა წინადადებით, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული კონსენსუსისა, ასოციაციაში დამკვიდრებული ტრადიციისა და ეთიკის კომისიის წევრთა მიმართ კოლეგიალობისა და პატივისცემის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობის პროექტი განსახილველად და მოსაზრებების წარმოსადგენად გადაეგზავნოს ეთიკის კომისიას და ეთიკის კომისიის მხრიდან მოსაზრებების მიღების შემდეგ, რაც უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში, აღმასრულებელი საბჭო იმსჯელებს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. მანამდე კი დღის წესრიგის მე-3 საკითხზე გადაწყვეტილების მიღება გადაიდოს.

თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობის პროექტი განსახილველად და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით მიეწოდოს ეთიკის კომისიას. ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: გადაიდოს ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების საკითხზე, ახალი სამტატო და სახელფასო ნუსხის დამტკიცებაზე გადაწყვეტილების მიღება და ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამტატო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების დასაბუთება და სამუშაო აღწერილობის პროექტი განსახილველად და მოსაზრებების წარმოსადგენად გადაეგზავნოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას.

საკითხი #4:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: **მაგული მელაძე, ქეთი კილაძე, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ციური**

მაკარაძე, გიორგი გოლუბიანი, რიმა ლომაური, ვახტანგ ჯორბენაძე, ირმა მამიაშვილი, ფატიმა შედანია, ნათია თავბერიძე, ლალი მრევლიშვილი, ირაკლი მარგველაშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად:

“საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: მაგული მელაძე, ქეთი კილაძე. ამასთან, 2017-

2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს (ციური მაკარაძე, გიორგი გოლუბიანი, რიმა ლომაური, ვახტანგ ჯორბენაძე, ირმა მამიაშვილი, ფატიმა შედანი, ნათია თავბერიძე, ლალი მრევლიშვილი, ირაკლი მარგველაშვილი) წერილობით ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი #5:

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ: ლეილა ბერიაშვილი, თეიმურაზ ფარდაღვა, ლიზა ონიკაშვილი, მანანა კაჭარავა, შორენა ბარათაშვილი, თამარ ტიგინაშვილი, ლალი მარტიაშვილი, ეკატერინე აბუანდაძე, მამუკა კონჯარია, ვლადიმერ ესართია, სოფო ზვიადაძე, მაგული ლიპარტელიანი, გულო დვაჩლიანი, ლალი აბრამიშვილი, ქეთევან ჭაბუკიანი, სალომე ჩინჩალაძე, სალომე კორკოტაძე, კახაბერ მუმლაძე, დოდო არობელიძე, მანანა ჭახრაკია, მანანა გელაშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა აღნიშნული განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება; ასევე, გასულ სხდომაზე დაკმაყოფილდა ყველა მსგავსი განცხადება, საბჭო თვლის, რომ წევრთა დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები უნდა დაკმაყოფილდეს განცხადებებში მითითებული მოთხოვნების მიხედვით, თუმცა აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იქვე დასძინეს, როგორც მ/წლის 29 მაისის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა და აუცილებლად შემუშავდება საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მომავალში განიხილება ასეთი განცხადებები.

ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული იქნა

გადაწყვეტილება:

ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები (ლეილა ბერიაშვილი, თეიმურაზ ფარულაშვილი, ლიზა ონიკაშვილი, მანანა კაჭარავა, შორენა ბარათაშვილი, თამარ ტიგინაშვილი, ლალი მარტიაშვილი, ეკატერინე აბუაშვილი, მამუკა კონჯარია, ვლადიმერ ესართია, სოფო ზვიადაძე, მაგული ლიპარტელიანი, გულო ღვაჩლიანი, ლალი აბრამიშვილი, ქეთევან ჭაბუკიანი, სალომე ჩინჩალაძე, სალომე კორკოტაძე, კახაბერ მუმლაძე, დოდო არობელიძე, მანანა ჭახრაკია, მანანა გელაშვილი) განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი #6:

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღევანდელი მდგომარეობით, საწევრო დავალიანების მქონე პირთა სიაში საკმაოდ ბევრი ადვოკატია. შესაბამისად, რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და ამავდროულად, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლი იძლევა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, მისი წინადადებაა 2018 წლის 01 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 2018 წლის 03 აგვისტომდე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2018 წლის 01 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 2018 წლის 03 აგვისტომდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: 01.06.2018 წლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით

დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 03 აგვისტო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად:

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება - სსიპ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, მის.: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #34-36; ტელ: 2 22 46 54; 790 22 46 54.

(ა) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია - 2018 წლის 14 მაისი; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს - ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 82 (ოთხმოცდაორი) კალენდარული დღე, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 და მე-4 პუნქტებისა.

(ბ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - საწევრო გადაუხდელ ადვოკატების ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (“ადვოკატთა შესახებ” კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტი).

(გ) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც ერიცხებათ საწევრო დავალიანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების საფუძველზე გამოცხადეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია/Georgian Bar Association/, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე; საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია, ადვოკატებისათვის გაცნობის მიზნით, გამოკრული იქნეს ასოციაციის ადმინისტრაციულ შენობაში, მის.: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების #34-36; ადვოკატთა ასოციაციის ქუთაისის რეგიონული ოფისის შენობაში, მის.: ქუთაისი, ნოდარ დუმბაძის #8; ბათუმის რეგიონული ოფისის შენობაში, მის.: ბათუმი,

სარაჯიშვილი #22; თელავის რეგიონული ოფისის შენობაში, მის.: თელავი, ვარდოშვილის #15.

(დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, პირველი შესაბამისად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადა დასრულდეს - 2018 წლის 25 ივლისამდე.

(ე) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2018 წლის 03 აგვისტო.

(ვ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება საწევრო დავალიანების გამო ადვოკატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე და უფლებამოსილება შეწყვეტილ ადვოკატთა სია გამოქვეყნდეს გაზეთში “რეზონანსი”, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია/Georgian Bar Association), გამოკრული იქნეს ასოციაციის ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების #34-36; ადვოკატთა ასოციაციის ქუთაისის რეგიონული ოფისის შენობაში, მდებარე: ქუთაისი, ნოდარ დუმბაძის #8; ბათუმის რეგიონული ოფისის შენობაში, მდებარე: ბათუმი, სარაჯიშვილის #22; თელავის რეგიონული ოფისის შენობაში, მდებარე: თელავი, ვარდოშვილის #15. უფლებამოსილება შეწყვეტილ ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, მათ მიერ ასოციაციის წევრთა ბაზაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ზ) 2018 წლის 02 აგვისტომდე დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია.

საკითხი #7:

აღმასრულებელმა მდივანმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 25.06.2018 წლის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ამჟამად, ვაკანტურია ასოციაციის აპარატში ჟურნალის რედაქტორის და ეთიკის კომისიის აპარატის ერთი იურისტის პოზიცია. ეთიკის კომისია მუშაობს ნაკლები ადამიანური რესურსით და ამასთან, შესაძლებელია ვაკანტური აღმოჩნდეს სხვა

პოზიციაც ადმინისტრაციაში, რაც დღის წესრიგში აყენებს ვაკანტურ შტატზე კონკურსის დროულად გამოცხადების აუცილებლობას.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა ადმინისტრაციაში არსებულ ვაკანსიებსა და ეთიკის კომისიის აპარატის ვაკანსიებზე შეიქმნას სხვადასხვა შემადგენლობის საკონკურსო კომისიები, კერძოდ:

(ა) ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების მიზნით, საკონკურსო კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით: გია ტაბლიაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ქეთევან უტიაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა (ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, კოლეგიის თავმჯდომარეები); ციცილო ცხვედიანი, გიორგი ტურაზაშვილი, მამუკა ნოზაძე (აღმასრულებელი საბჭოს წევრები) და გიორგი ჭეხანი (აღმასრულებელი მდივანი).

(ბ) ადმინისტრაციაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადების მიზნით, საკონკურსო კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით: დავით ასათიანი (ასოციაციის თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, ირაკლი ყანდაშვილი (აღმასრულებელი საბჭოს წევრები), გიორგი ჭეხანი (აღმასრულებელი მდივანი), სალომე ტყეშელაშვილი (ადმინისტრაციის უფროსი) და ქეთევან თურაზაშვილი (სასწავლო ცენტრის დირექტორი).

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება:

(ა) ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების მიზნით, საკონკურსო კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით: გია ტაბლიაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, ქეთევან უტიაშვილი, ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა (ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, კოლეგიის თავმჯდომარეები); ციცილო ცხვედიანი, გიორგი ტურაზაშვილი, მამუკა ნოზაძე (აღმასრულებელი საბჭოს წევრები) და გიორგი ჭეხანი (აღმასრულებელი მდივანი).

(ბ) ადმინისტრაციაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადების მიზნით, საკონკურსო კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით: დავით ასათიანი (ასოციაციის თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, ირაკლი ყანდაშვილი (აღმასრულებელი საბჭოს წევრები), გიორგი ჭეხანი (აღმასრულებელი მდივანი), სალომე ტყეშელაშვილი (ადმინისტრაციის უფროსი) და ქეთევან თურაზაშვილი (სასწავლო ცენტრის დირექტორი).

ირაკლი ყანდაშვილმა წევრებს გააცნო განმცხადებელი „დავების განმხილველი ცენტრის“ მიმართვა აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებაზე: „ადვოკატის როლი არბიტაჟში“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8 - დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ნათია კორკოტაძე, წინააღმდეგი 1: მამუკა ნოზაძე) მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება:

ა) დაკმაყოფილდეს „დავების განმხილველი ცენტრის“ განცხადება და აკრედიტაცია მიენიჭოს თემას „ადვოკატის როლი არბიტაჟში“.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო ადვოკატ ირინე კასრაძის 2018 წლის 02 ივლისის განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ 2014 წელს ასოციაციაში გაწევრიანების დროს, მას უარი ეთქვა საერთო სპეციალიზაციის მოწმობის აღებაზე იმის გამო, რომ მის მიერ 2004 წელს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით ჩაბარებული სერტიფიკატი არ იყო ვალიდური. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ახალი ცვლილებების თანახმად, 2014 წლისთვის, როდესაც ასოციაციაში გაწევრიანდა, 2004 წელს აღებული ზემოხსენებული სერტიფიკატი ჯდებოდა ვალიდურობის 10 წლიან ვადაში. განცხადებაში მითითებული იყო, რომ საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების“ შესახებ 24-ე მუხლის და კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ადგენდა ან ამძიმებდა პასუხისმგებლობას, უკუძალა არ ჰქონდა. იგი ითხოვდა აღნიშნული ცვლილებით, ხსენებული ნორმის არა საზიანოდ გამოყენებას და აღნიშნული შემთხვევის

განსაკუთრებულობის გათვალისწინებით, ადოკატის მოწმობის მიღებას საერთო სპეციალიზაციით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციას ირინე კასრაძემ გაწევრიანების მოთხოვნით მომართა 2014 წლის 09 სექტემბერს და წარმოდგენილი ჰქონდა 2007 წლის 26 ნოემბერს სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მიმართულებით, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის თანახმად, მის მიერ წარმოდგენილ გაწევრიანების შესახებ განაცხადში, სპეციალიზაციის ველში მითითებული იყო სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია. აქედან გამომდინარე, ირინე კასრაძის მიერ 2018 წლის 02 ივლისის განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნა კანონის უკუძალის გამოყენებით საერთო სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის მინიჭების შესახებ, არის სამართლებრივად დაუსაბუთებელი.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი პირს ანიჭებს უფლებას და არა პასუხისმგებლობას, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების“ შესახებ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტი (ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს) ვერ იქნება გამოყენებული ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე, ვერ იქნება გამოყენებული საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“, ხოლო 2018 წლის 04 მაისის კანონი “ადვოკატთა შესახებ” კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე ამ კანონის დებულებების მოქმედებას უკუქცევით ძალას არ ანიჭებს.

ამდენად, ირინე კასრაძის განცხადება საერთო სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის მინიჭების შესახებ, არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი ირინე კასრაძისთვის საერთო სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის მინიჭების შესახებ, კენჭისყრის (მომხრე -0, წინააღმდეგი 9) შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება:

არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ ირინე კასრაძის განცხადება საერთო სპეციალიზაციით საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის მინიჭების შესახებ. გამცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე